

K 1531  
3

ရန်ကုန်တော်မြတ် ရန်ကုန် အနုပ်ဆောင်၊ ဒုရိသတ္တဝါ



b. b.

b. b.

စာအကိပ်အော် ပြဇာတ်ပေါ်ဖော် ၁၈၅၃၀၈  
ကျော်လှိုင်ပါး

ဒုတိယ ၁၉၂၃

နောက်ပါ စာအကိပ်အော် ပြဇာတ်ပေါ် ၁၈၅၃၀၈ မြန်မာ ပြန်လည်ပေါင်းစပ်  
ပြန်လည်ပေါင်းစပ် ပုဂ္ဂန်

စွဲပေါ်  
1922



ပြည်ထောင်စုနှင့်ပို့ဆောင်ရေးနှင့်ပို့ဆောင်ရေးဝန်ကြီးခွဲ  
ပြည်ထောင်စုနှင့်ပို့ဆောင်ရေးနှင့်ပို့ဆောင်ရေးဝန်ကြီးခွဲ

b. b.



b. b.



# ပြည်ထောင်စုနှင့်ပို့ဆောင်ရေး ပြည်သူ့လုပ် ဖွံ့ဖြိုး ပြည်နယ် လေပျောက်လုပ်မှု

## ဒုက္ခန်းခွဲမြေပြီး

1.5.31

ကျော်လုပ် လေပျောက်လုပ် ပြည်နယ် အုပ်ချုပ်လုပ်လုပ်  
အုပ်ချုပ်လုပ် အုပ်ချုပ်လုပ်

3373 (25+17) 500002  
စုစုပေါင်း 33  
1922

ମେ-୯ ସତ୍ରାମିଦା ସାହୀରତ୍ୱେଲାଙ୍କ ବ. ମ. ଟ୍ର. ବ. ପୋଲିଗ୍ରାନ୍‌ଯୁଗାନ୍ୟନ୍ତ୍ରିଲେବିସ.



საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის  
კონსტიტუციის საერთო დებულება

## კონსტიტუცია\*

### III 3 //

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საერთო დებულება

1. ოქტომბრის დიდი ოკულურუკის მცნებათა მიმღევარი საქართველოს მუშები, მშპომელი გლეხეაცობა და წითელი ომია—საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, დამფუძნებელ კრებისა და ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოს სახელმწიფო მდგრადი ხელისუფლების გაუქმების შემდგომ, —თავის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამყარებენ პროლეტარიატის სუვერენიტეტსა და დიქტატურას, გადასცემენ რა პასთანაცვე სრულ სახელმწიფო ხელისუფლებას თავიანთ დეპუტატების საბჭოებს როგორც ცენტრში. ისე ადგილობრივ.

**შენიშვნა:** საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აქარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ-ისეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს—ამ რესპუბლიკათა შორის დაფეხულ, განსაკუთრებულ საკეთო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. დიქტატურის მიზანია—ბურჟუაზიულ წესწყობილებიდან სოციალიზმში გარდასკლის განხორციელება, სოციალისტურ რეფორმების შეურყეველად ცხოვრებაში გატარების გზით.

**შენიშვნა:** ამ მიზნის მიღწევის შემდგომ დიქტატურა ისპობა და ალაგოეთმობა სახოგადოებრივ ცხოვრების თავისუფალ ფორმებს, რომელიც აგებული იქნება საყოველოა შრომის ორგანიზაციისა და ხალხთა ძმური ერთობისა პრინციპებზე.

\* ) მიღებულია საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოთა I ყრილობის მიერ.

3. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ახორციელებს რა იმ ღონისძიებათ, რომელთაც უშუალო მიზანია არსებულ კაპიტალისტურ წესრიცხვის მოსპობა, — აუქმებს მიწის კერძო საკუთრებას და ატადებს მთელს სამიწო ფონდს საქართველოს მშრომელ მოსახლეობის ქონებად. ამგვარადვე, ცველა ტქე, მიწის წილში დამარხული სიმდიდრე და წყლები, რომელთაც სახელმწიფო მინისტრობის მინისტრობა აქვს, ცხადდება სახელმწიფოს საკუთრებად: ისპობა ავრეთვე კერძო საკუთრების უფლება ცველა სხვა წსხილ წარმოებასა და საწარმოებელ საშუალებებზე.

**შენიშვნა 1:** სახელმწიფოს საკუთრებად გამოსაცხადებელ წარმოებათა და საწარმოებელ საშუალებათა ოდენობა ვანისაზღვრება განსაკუთრებულ დექტერით.

**შენიშვნა 2:** სოფლის ბრროველ მოსახლეობას უფლება აქვს აირჩიოს მიწის საჩვებლობის ის სახე, რომელსაც თვითონ მოისურებს; ხელმოკლეს ეძღვევა სახელმწიფო დამარება

4. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას — შევიდეს მთლიან საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ოჯახში, როგორც კი ამისთვის შეიქმნება სათანადო პირობები, ამასთან ერთად იგი აღიარებს თავის სრულ სოლიდარობის ამენამაღლერის მიერ საბჭოთა რესპუბლიკებთან და თავის გადაწყვეტილებას — იქმნიოს მთთან: а) მჭიდრო-მევნობრული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა სოციალიზმის საპოლიტ გასამარჯვებლად და ბ) უახლოესი თანამშრომლობა კომუნისტურ აღმშენებლობაში საერთაშორისო მასშტაბით.

## III 3 II

5. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენიტეტი სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორულებრივ მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე.

6. సాక్షారతవ్వెల్లంస బ. బ. ర్ఘసప్తబ్లంగిస సాంకేతికింఫో గ్రంథి  
ఒత్తుల్లేదా కారత్తుల్లం గ్రంథా. ప్ర్యెంలా ప్రెంత్రాల్చుర్ సాంకేతికింఫో  
డాచ్చెస్పెంబ్లుల్లేదాతా ర్ఘసిద్ధేం ప్రాండ—జ త్రిఫిలిసి.

**శ్రేణిశ్వరు:** జర్మన్స్థల శ్రీపుర్ణేశ్వరుల గ్రంపులాం తాప్తిస్తుఫాల  
గాన్వించార్జేదిసా దా సాంశాంబల్లం గ్రంసి కమార్జేదిస ఉప్పుల్లేదా ర్ఘసాంప్ర  
సాంకేతికింఫోన్స్థల్-ప్రెంత్రాల్చుల్లం, ఎస సాంకేతికింఫో డా-  
చ్చెస్పెంబ్లుల్లేదాప్పిశి.

7. తాంబాంబాం ర్ఘసప్తబ్లంగిస దింపితాం ప్రాంత్రాంజేదిస శ్రేణిశ్వ  
నాంజేదింపి జర్మన్స్థల శ్రీపుర్ణేశ్వరుల గ్రంపులాం శ్రేణిశ్వరుల్లేదా, ఎంచు మాతి  
సింపాంఫుల్లేదానొంబిస శ్రేణిల్లుడ్వా డాంబాంక్రీబ్ భింపిల్లాంజ్యేబ్చిసాన శ్రే-  
ంప్రేబించి.

### ॥ ३ ॥ ॥ ॥

8. శ్రేణిశ్వరు బ్రేలిస్తుఫల్లేదా సాక్షారతవ్వెల్లంస సాంకేతికింఫోస్తుర్  
సాంకేతికింఫో ర్ఘసప్తబ్లంగిస్తుర్ వ్యుత్వేనిస సాంకేతికింఫోల్లం  
మ్హుంచాతా. గ్రౌథ్తా దా చ్ఛింపులాంమింపుల్లం డ్రేప్తాంత్రేబిస సాంకేతి-  
తా ప్రాంపింపిబిస; కొంప ప్రాంపింపిబిస ప్రాంపింపిబిస మిండ్ వ్యేపింప-  
చి - సాంకేతికింఫో సాక్షారతవ్వెల్లంస ప్రెంత్రాల్చుర్ వ్యేపింపిబిస ప్రాంపి-  
తా ప్రాంపింపిబిస.

9. సాక్షారతవ్వెల్లంస సాంకేతికింఫోస్తుర్ సాంకేతికింఫో ర్ఘసప్తబ్లంగిస్తు-  
ర్ వ్యుత్వేసించ కామింపిర్పెంబ్లుల్లంస సాంకేతికింఫోల్లం, స్క్రాంలా—వ్యుత్వేసి-  
ంబిస. త్యుమ్పా నాంపింఫున్స్థేబింపి దా ఎంత్రిసాంప్రమ్హున్స్థేబింపి వ్యేప-  
చికాన్చింబిస తాపిస్తుఫల్లేదా మినిప్పేంబ్లుల్లం వ్యేపింపిబిస పిం-  
ప్రాంపింపిబిస పింపిబించి, ర్ఘమ వ్యేపింపిబిస వ్యేపింపిబిస వ్యే-  
పింపిత్తుర్ దా సాంకేతికింఫో మింబినొ గార్హించే.

10. సాక్షారతవ్వెల్లంస సాంకేతికింఫోస్తుర్ సాంకేతికింఫో ర్ఘసప్తబ్లంగిస్తు-  
ర్ ప్రాంపింపిబిస తాపిస త్రైపిత్తాంపిర్పిబిస తాపిస ప్రాంపింపిబిస-  
తాపిస కాపింపిబిస, ప్రాంపింపిబిస, మింబిన్గెబిస దా సాంకేతికింఫో స్క్రాం-  
చికాన్చింబిస దా స్క్రాం. నామింపిల తాపిస్తుఫల్లేదా దా ప్రాంపింపిబిస వ్యేప-  
(నిషింపిర్పిబిస దా స్క్రాం.) బ్రేలిస్తుఫింబిస మాత గాపితికాన్చెబిస దా  
ప్రాంపింపిబిస.

11. సాక్షారతవ్వెల్లంస సాంకేతికింఫోస్తుర్ సాంకేతికింఫో ర్ఘసప్తబ్లం-

კა თავის მთავარ მიზნად ისახავს — მიანიჭოს ყველა მშრომელს სრული და ყოველმხრივი უფასო განათლება.

12. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომა ითვლება რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობად.

13. სოციალისტური სამშობლოს და სოციალისტურ რევოლუციის მონაბოვართა შეიარაღებული დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობად ითვლება, და ამიტომაც დაწესებულია საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

14. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აძლევს თავის ტერიტორიაზე თავშესაფარს ყველა უცხოელს, რომელიც კი იდევნება პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ იდევნებისათვის სოციალისტურ რევოლუციის თასრგებლოდ.

## III კ ვ ი V

### საეკონომიკ და საფინანსო პოლიტიკა

15. გარდამარტინს (ბურჟუაზიულ წყობადის სოციალიზმი) ხანაში, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, დებს რა თავის ქვეყნის საეკონომიკო და საფინანსო პოლიტიკის საფუძვლად საკუთრების საბჭოთა სისტემის, რეპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, თავის უაღლოეს მიზნად ისახავს შანსურ ბაზრის შექმნას და მის სახელში მშიდობრივად მოწესრიგების, საქონლის ტრიალის განვითარებას კანონების მტკიცე საფუძველზე — საკრედიტო დაწესებულებათა, ბირჟათა, სავაჭრო მმსანავიბათა, საექსპორტო და საიმპორტო საზოგადოებათა და სხვადასხვა სახის კონპრატიულ კავშირთა დაარსების გზით და აგრეთვე შეუჩენების სხვადასხვა დარგში უცხო კაპიტალის შემოსვლისათვის ხელის შეწყობით როგორც კონცესიის, ისე სესხის სახით და სხვ. და სხვ.

16. სახელმწიფოს ფინანსიურ მდერაციების შესრულებისათვის და საგარეო ვაჭრობისა და ყოველგვარ საზღვარ-გარეთულ საოპერაციო ანგარიშებისათვის, აგრეთვე ფულის ტრიალის მოწესრიგებისათვის და სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და საქალაქო და სასოფლო-სამუშაო-ნეო წარმოებათათვის ფულის მიწოდების მიზნით, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ადგენს მტკიცე სახელმწიფოებრივს და ადგილობრივ ბიუჯეტს—გადასახადის სისტემის საფუძველზე— და არსებს ქ. ტფილისში ცენტრალურ სახალხო ბანკს განყოფილებებითა და სააგენტოებით, რომლის მოქმედებაც განსაზღვრული იქნება ცალკე წესდებაში.

## III 3 II V

### საბჭოთა ხელისუფლების კონსტრუქცია

ა. ცენტრალურ ხელისუფლების ორგანიზაცია.

17. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებად ითვლება სრულიად საქართველოს მფშავა, გლეხთა და წითელარმი-ელთა დებუტატების საბჭოთა ყრილობა.

18. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შედგება საბჭოთა სამართლო ყრილობათა წარმომადგენელთაგან, საქალაქო და სამრეწველო დაბათა საბჭოებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქების ყრილობათა წარმომად ენელთაგან — შემდეგს წესით: სამართლო და საოლქო სოფლელთა ყრილობათაგან — 1 დებუტატი 10.000 მცხოვრებებს, ქალაქთა საბჭოების და სამრეწველო დაბათაგან — 1 დებუტატი 2000 მომრჩეველებს.

19. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის იწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმისრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ.

20. სრულიად საქართველოს საბჭოთა საგანგებო ყრი-ლობას იწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმა-სრულებელი კომიტეტი — ან თავის ინიციატივით, ანდა უკუ-თხების საბჭოთა მოთხოვნით, რომელთა შეცხვრებთა რიცხვიც შეაღენს რესპუბლიკის მოსახლეობის  $\frac{1}{2}$ -ზე არა ნაკლებს.

21. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა იჩინებს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომი-ტეტს, რიცხვით არა უმეტეს 95-ისა.

### III 3 II VII

#### სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შესახებ

22. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტი ითვლება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს კანონმდებელ, გამგებელ და კონტროლის გამწევ ორგანოდ.

23. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტი ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში ითვლება რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფლებად.

24. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტი იძლევს საერთო მიმართულების მუშა-გლეხურ მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების უველა ორ-განოს მოღვაწეობის მთელ სახელმწიფოში, იერთიანებს და ათანაბეჭბს მუშაობის კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობის სფეროში, თვალყურს დღვენებს საბჭოთა კონსტიტუციის (იგრევე სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობებისა და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების) დაუგენი-ლებათა ცხოვრებაში გატარებას.

25. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტი იხილავს და მტკიცებს დაკრეტების პროექტებს და სხვა დადგენილებათა და განკურელებათ, რო-

მეუნიც შეაქვთ კომიტეტში სახალხო კომისართა საბჭოს, ან ცალკე სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე სცემს დეკანებსა და დადგენილებათ თავისი ინიციატივითაც.

26. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იხილავს განსაკუთრებით ყველა დეკანეტს, რომელიც ეხება საპოლიტიკო და საეკონომიკო ცხოვრების საქრთო ნორმათა დაწესებას და აგრეთვე დეკანეტებს, რომელთაც შეაქვთ ძირითადი ცვლილებანი სახელმწიფოს ორგანოთა არსებულ პრაქტიკაში.

27. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს კონტროლს უწყებათა და ადგილობრივ საბჭოთა მუშაობაზე, რისთვისაც წარადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიაში სახალხო კომისართა ანგარიშებს, ამ უკანასკნელთა მუშაობას წინასწარ შესწავლისა და გამოკვლევის შემდგომ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებულ კომიტეტის სპეციალურ კომისიების მიერ, უა აგრეთვე ცალკე სამაზრო და საქალაქო აღმასკომების ანგარიშებსაც.

28. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სავაებით პისუხისმგებელია სრულიად საქართველოს საჭირო ურილობის წინაშე.

29. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს თავის მოღვაწეობის შესახებ და მოხსენებებს საერთო პოლიტიკას და საერთო სახელმწიფოებრავ ხასიათის ცალკე საკითხებზე.

30. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ბარსებს სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სპეციალისტურ საბჭოთა რესტურნიკის საქმითა საერთო მართვა-გამგეობისათვის და ცალკე სახალხო კომისარიატებს-გამგეობის ცალკე დაწესებისათვის ხელმძღვანელობის გახაწევად.

31. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებულ კომიტეტს უფლება აქვს გათვალისწინების, ან შეაჩეროს სახალხო კომისართა საბჭოს ყოველგვარი დადგენილება თუ გადაწყვეტილება.

32. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი აწყობს მუდმივ საბიუჯეტო და სხვა კომისიებს, აგრეთვე ამტკიცებს დებულებებს, რომელთა საფუძვლზედაც ეს კომისიები მოქმედობენ.

### III პ 3 ॥ VII

#### სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის შესახებ

33. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

34. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს, გართვა გამგეობის წესით, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით—საკარო, აუცილებელი დადგენილებანი იმ ვალდებულებით, რომ მოხსენებანი იავის მუშაობის შესახებ წირიდვინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მორიგ სესიებში.

35. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებულ კომიტეტის პრეზიდიუმს შეაქვს დეკრეტების პროექტები განსახილველად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენურმის სხდომაზე.

36. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებულ კომიტეტის სხდომებს შუა, პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და გადაიტანოს ისინი ვალისაწყვეტილ სრულიად საქართველოს

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენურში, აგრეთვე, სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით, დანიშნოს ცალკე სახალხო კომისრები.

37. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი აწარმოებს მიწერ-მოწერას სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით.

38. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებათა სისრულეში მოყვანას და ითვლება მთელი მუშაობის ხელმძღვანელიად როვორც ცენტრში, ისე ადგილობრივადაც.

39. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს გამოაქვს გადაწყვეტილებანი— სახალხო კომისარიატებისა ერთის მხრივ და სხვ. ცენტრალურ ორგანოთა და ადგილობრივ აღმასრულებების მეორეს მხრივ — ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ ყოველგვარ საკითხისა და კონფლიკტის შესახებ.

40. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი სწყვეტს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საადვინისტრაციო-სამეცნიერო დაყოფის შესახებ.

41. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი სწყვეტს შუამდგომლობებს პარიების (შეწყალების) შესახებ.

42. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს ევალება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიების მომზადება. ამასთანავე, ყველა მისთვის საჭირო მასალა შინასწარ გამოქვეყნებულ უნდა იქმნას პრეზიდიუმის მიერ შეკრილობით — ერ-

თი თვით ადრე ყრილობამდე, ანდა ორი კვირით იდრე სესიამდე.

43. პრეზიდიუმი იწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალურ იღმასრულებელ კომიტეტს სესიის სხდომებზე, წელიწადში არა ნაკლებ სავაჭის.

44. საგანგებო სხდომებს იწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალურ იღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი საკუთარ ინიციატივით, სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით, ან სრულიად საქართველოს ცენტრალურ იღმასრულებელ კომიტეტის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

## III VII

### სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ

45. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სათავეში დგას სახალხო კომისართა საბჭო, 12 სახალხო კომისარიატის შედგენილობით, განსაკუთრებულ პირის — აუცილებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ იღმასრულებელ კომიტეტის წევრის — თავმჯდომარეობით. ეს კომისარიატებია: ა) საგარეო საქმეთა; ბ) სამხედრო და საზღვაო საქმეთა; გ) შინაგან საქმეთა, რომელშიაც შედიან ეროვნულ საქმეთა, ფინანსურულებრაფის მართველობა, ცენტრალური სტატისტიკური მართველობა და სახელმწიფო პოლიტიკური მართველობა; დ) იუსტიციისა; ე) შრომისა, რომელშიაც შედის სოციალური უზრუნველყოფის მართველობა; ვ) სახალხო განათლებისა; ზ) ჯანმრთელობისა; წ) ფინანსთა; თ) მიწათმოქმედებისა; ი) სასურსათო; ია) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიმოსვლის (გზათა) განყოფილებით; იბ) მუშათა და გლობთა ინსპექციისა.

46. სახალხო კომისართა საბჭო იძლევა განკარგულებებსა და ინსტრუქციებს არსებულ დეკრეტების განსამარტებლად და სახოგადოდ ყოველ ღონისძიებას პრემიონის

სახელმწიფო ბრივ ცხოვრების სწორი და ჩქარი მსვლელობისათვის.

47. ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება, რომელთაც დიდი საზოგადო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, იგრეთ დეკრეტების პროექტები, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

48. ყველა დეკრეტი და სახელმწიფო ღონისძიება, რომელთაც გადადება შეუძლებელია, მათ შორის, ყველა კანონმდებლობის აქტი სამხედრო საქმეთა შესახებ, იგრეთვე ღონისძიებანი გარეშე საქმეთა შესახებ, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისთვის ვალდებულებათა მაკისრებელნი, განიხილებიან და მტკიცდებიან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

49. ორავითარ თრგანოს, გარდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ურილობისა, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმისრულებელ კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და სხივლხო კომისართა საბჭოისა, არა აქვს უფლება გამოსცეს საერთო-სახელმწიფო ბრივ მნიშვნელობის საქანონმდებლო აქტები.

50. სახალხო კომისართა საბჭო საცხოვით პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს საბჭოთა ურილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმისრულებელ კომიტეტის წინაშე.

## III პ 3 ॥ IX

### სახალხო კომისარიატების შესახებ

51. სახალხო კომისარიატებს შეუძლიან გამოსცენ დადგენილებანი და განკარგულებანი მხოლოდ თავის კომიტეტის ფარგლებში, რომელიც პრეზიდენტ განსაზღვრულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმისრულებელ კომიტეტის წინაშე.

тіс. Ініціатива здійснення цього вимірювання дала підставу для створення університетської бібліотеки.

52. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році.

53. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році.

54. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році.

55. Університетська бібліотека заснована в 1921 році. Університетська бібліотека заснована в 1921 році.

## III ЗАЧАТКА

### МІФІЧНА І ДІВЧАТИНА

56. На початку ХХ століття, у Білорусі та Україні виникли перші драматургічні твори на українській мові. Найважливішими з них були «Дівчата» Михайла Сєнічевського та «Міфічна і Дівчата» Івана Франка. «Дівчата» Михайла Сєнічевського є першим українським драматичним твором, який мав великий вплив на українську драматургію. «Міфічна і Дівчата» Івана Франка є першим українським драматичним твором, який мав великий вплив на українську драматургію.

ინსპექციას, სახალხო კომისარიატის უფლება-მოვალეობათა მინიჭებით. ამ კომისარიატის საუწყებო საგანი და მისი ხელისუფლების მოცულობა განისაღვრება განსაკუთრებულ დებულებების შესახებ.

### III პ 3 ॥ XI

#### უმაღლეს საეკონომიკ საბჭოს შესახებ .

57. სახალხო კომისარიატების მთელი ეკონომიკური მოღვაწეობის ხელმძღვანელობის გასაწევად და შესათანხმებლად, ქვეყნის სამეურნეო ომშენებლობის უზრუნველსაყოფად, სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება უწაღლესი საეკონომიკ საბჭო.

58. უმაღლესი საეკონომიკ საბჭო მოქმედობს სახალხო კომისართა საბჭოს კომისიის უფლებებით.

59. უმაღლესი საეკონომიკ საბჭოს შედგენილობა განისაზღვრება ამ დაწესებულების განსაკუთრებულ დეკრეტით.

60. უმაღლესი საეკონომიკ საბჭო, მასზე დაკისრებულ მიზნების განსახორციელებლად, სცემს დაგვენილებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და ლებულობს ყოველგვარ საკირო ზომებს მათი წესიერი და სწრაფი შესრულებისათვის; კერძოდ, აწესებს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ერთს პოლიან სამეურნეო გეგმის, წარადგენს, მას დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და მიმართვებს ეკონომიკურ სახალხო კომისარიატთა მუშაობას თანახმად ამ გეგმისა: ოვალურს აღევნებს მის განხორციელებას და. საკიროებისაშებრ, აწესებს გამონაკლისს მისვან.

61. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვთ გააუქმონ ან შეაჩერონ უმაღლეს საეკონომიკ საბჭოს დადგენილებანი და განაჩენი როგორც ცალკე. სახალხო კომისრის პროტესტის, ისე საკუთარ შეხედულებისამებრ.

III XII

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის გამგებლობის საგანთა შესახებ

62. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის გამგებლობას ექვემდებარება ყველა საერთო-სახელმწიფო ეროვნულობის საკითხი:

X) ა) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთელი უმაღლესი და საშინაო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა;

ბ) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო იდმინისტრატოული დანაწილება.

გ) დაწესება და შეუკვეთა ზომათა, წონათა და ფულის სისტემისა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დ) მოწყობა სესხთა, საბაჟო და სავაჭრო ხელშეკრულებათა და აგრეთვე საფინანსო შეთანხმებათა.

ე) დაწესება საფუძველთა და საერთო გეგმისა მთელი სახალხო მეურნეობის და მისი ცალკე დარგებისა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება და საერთო-სახელმწიფო გადასახადთა და ბევრობითა დაწესება.

ზ) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძლითა ორგანიზაციის სიფუძველთა დაწესება.

ლ) საერთო სახელმწიფო ებრივი კანონმდებლობა, სახამირთლოს მოწყობა, სემინარის წარმოება, სემინარის და სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სხვ.

თ) დანაშვნა და ვადაყენება როგორც სახალხო კომისართა საბჭოს კერძო წევრთა, ისე სახალხო კომისართა მთელ საბჭოისა, და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება.

ი) გამოცემა საზოგადო დაფენილებათა საქართველოს მოქალაქობრივ უფლებათა მოპოებისა და დაკარგვის შესახებ, და უცხოელების უფლებათა შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე.

ია) საერთო ამნისტიის უფლება.

იბ) საზოგადოდ საკითხები, რომელთაც სრულიად სა-ჯართველოს საბჭოთა ყრილობა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სცნობენ თავის გამგებლობის საგნად.

63. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას ექვემდებარება:

ა) საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა დაშესება, დამატება და შეცვლა.

ბ) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების დაწესება და შეცვლა და იგრეფვე მისი ტერიტორიის ნაწილების, ან მისოვის მინიჭებულ უფლებათა ჩამორთმევა.

გ) უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დაცერა, რომის გამოცხადება, ზავის შეკვრა და საზავო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

### III XIII

პ. საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია ადგილობრივ.

საბჭოთა ადგილობრივ ყრილობათა შესახებ.

64. საბჭოთა სამაზრო ყრილობები შესდგებიან სათემო საბჭოების წარმომადგენელთაგან, ერთი დეპუტატი 1000 მცხოვრებზე; სამაზრო ქალაქის საბჭოსაგან, ზოგრის ქალაქთა საბჭოთაგან, სამრეწველო დაბათა და მსხვილ სოფელთაგან—თითო დელგატი 200 ამომრჩეველზე, ხოლო ირა უმეტეს 200 დეპუტატისა მთელ მაზრაზე.

**შენიშვნა 1:** ჯარის ნაწილები, სამაზრო ქალაქებში დაბა-ზე დაგენერირდნენ, პეტარიან თავიათ დელგატებს სამაზრო კოლეგიაზე.

ნაწილების მიზანი არ არის დაგენერირდნენ, მაგრამ მაზრაზე დაგენერირდნენ, პეტარიან თავიათ დელგატებს სამაზრო კოლეგიაზე.

ერთად, თანამდე მუხათა შარტორიდგენლობის პრინციპისა ე. ი.  
 200 ამომრჩეველთაგან—1 ღებულებას.

**შენიშვნა 2:** ჯარის ნაწილები ნაზრაში, სამაზრო ქალაქის  
 გარეთ დაბანაებულნი, ჰერაკლიან თავიანთ დეპუტატებს ანთვე შე-  
 სების მიხედვით, უშუალოდ სამაზრო ყრილობაზე, საჭეო ყრი-  
 ლობის გარეშე.

**შენიშვნა 3:** საქართველოს რესპუბლიკის უცელა ქალაქი,  
 გარდა ტურისტისა და ფოთისა, არჩევნების მხრით, ურთდება სა-  
 თანადო მაზრებს.

65. საბჭოთა უცელა მორიგი ყრილობის მოწვევა, მათ  
 რიცხვში, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქებისაც, შე-  
 იძლება საბჭოთა ხელისუფლების უცელა აღმასრულებელ ორგა-  
 ნოს მიერ (აღმასრულებელ კომიტეტების მიერ), ამ უკანას-  
 ქნელთა შეხედულების მიხედვით, ანდა როველიმე კუთხის  
 საბჭოს მოთხოვნით, სადაც მცხოვრება რიცხვი შეაღენს ამ  
 რაიონის მთელი მოსახლეობის ერთ წესამედიზე არა ნაკლებს,  
 წელიწადში არა ნაკლებ ერთგზის.

66. საქალაქო და სათემო საბჭოთა ხელისალი არჩევნები  
 წარმოებს წელიწადში ერთხელ.

67. სამაზრო საბჭოთა ყრილობა ირჩევს თავის აღმასრუ-  
 ლებელ ორგანოს—აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წევრ-  
 თა რიცხვიც არ უნდა აღმატებოდეს 13-ს.

68. აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია მის  
 ამომჩეველ საბჭოთა ყრილობის წინაშე.

69. თავის კომპენტენციის ფარგლებში, საბჭოთა ყრი-  
 ლობა უზენადი ხელისუფლებაა არსებულ ტერიტორიის საზ-  
 ღვრებში, ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში კი—ამკვარ  
 ხელისუფლებად ითვლება აღმასრულებელი კომიტეტი.

70. საბჭოთა აღვილობრივ ყრილობათა დადგენილებანი  
 შეიძლება გაუქმდებულ იქნან მხოლოდ მათხე მაღლა მდვრმ  
 ყრილობების, მათი აღმასრულებების, სრულიად საქართველოს  
 ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და მისი პრეზი-  
 დიუმის მიერ.

71. აღმასრულებებისა და პრეზიდენტების დაკვენილებანი

შეიძლება გაუქმდებულ იქნან მათზე მაღლა მდგრად ყრილობების, აღმასკომების, მათი პრეზიდიუმების, სრულიად საქართველოს უწნეულებელ აღმასრულებელ კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

## III 3 II XIV

### დეპუტატთა საბჭოების შესახებ

72. ქალაქები, სამრეწველო დაბები და მსხვილი სოფულები აღგენენ თავიანთ საბჭოებს შემდეგის ნორმით: — 1 დეპუტატი 1000 მცხოვრებზე, მაგრამ არა ნაკლებ 15-ისა და არა უმეტეს 50 დეპუტატისა, გარდა ტფილისისა. საბჭოები იღებენ მონაწილეობას სამაზრო ყრილობებში და მათი საშუალებით — საქართველოს საბჭოების ყრილობებშიაც, გარდა ქ. ფოთისა და ტფილისისა, რომლებიც ჰგავნიან თავიანთ დელეგატებს საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე უშუალოდ.

73. ოწმუნებულებას ერთი წლის ვადა აქვს.

**შენიშვნა:** იმ სოფულებში, სადაც ეს ცნობილი იქნება შესაძლებლად, მართვა-გამგების საკითხები სწყდება სოფლისვე ამომრჩეველთა საზოგადო კრების მიერ, უშუალოდ.

74. სათემო საბჭოები სდგება იმ ანგარიშით, რომ 1 დეპუტატი მოდიოდეს თემის უველა დასახლებულ პუნქტის 100 მცხოვრებზე.

75. მიღდინარე მუშაობისათვის დეპუტატების საბჭოირჩევთავის წრიდან აღმასრულებელ კომიტეტს (პრეზიდიუმს) სამი წევრის შედგენილობით თემებში, ქალაქებში კი — უკველ 50 წევრზე უნდა მოდიოდეს 1 დეპუტატი, მხოლოდ არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს 13-ისა (ტფილისში არა უმეტეს 25-ისა). აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია მის ამომრჩევ საბჭოს წინაშე.

**შენიშვნა:** სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა სათემო აღმასკომების შედგენილობა გაადიდოს 4 წევრამდე.

76. საოცმო აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება შემ-  
დეგი განყოფილებები:

მართვა-გამგეობისა, საადგილმამულო, სამხედრო და,  
სამაზრო აღმასკომის ნებართვით, —კომუნალურიც, —ყველა  
განყოფილებისათვის საერთო კანცელარიით.

77. დეპუტატთა საბჭოს იწვევს აღმასრულებელი კომი-  
ტეტი, ან თავისი ინიციატივით, ან საბჭოს წევრთა ნახევარზე  
არა ნაკლების მოთხოვნით, არა ნაკლებ ორგზისა თვეში, ქა-  
ლაქებსა და თემებში.

78. თავის კომიტეტის ფარგლებში საბჭო, ხოლო  
73 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამო-  
ბრჩეველთა საზოგადო კრება — არის უზენაესი ხელისუფლება  
სათანადო ტერიტორიის საზღვრებში.

## III კ ვ ॥ ს ვ

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობის საგან-  
თა შესახებ

79. საბჭოთა ხელისუფლების სამაზრო და საოცმო ორგა-  
ნოებს და დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს თავიანთ მო-  
ლვაშეობის საგნად აქვთ:

ა) საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ყველა  
დადგენილების ცხოვრებაში გატარება;

ბ) თავიანთ ტერიტორიის კულტურულ შეურნეობის  
შესახვა აყვავება;

გ) გადაჭრა ყველა საკითხისა, რომელსაც ამ ტერიტო-  
რიისათვის ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს;

დ) საბჭოთა მთელი მოლვაშეობის გაერთიანება სათანადო  
ტერიტორიის საზღვრებში.

80. საბჭოთა სამაზრო ყრილობებს და მათ აღმასრულე-

ზულ კომიტეტებს უფლება აქვთ სათემო საბჭოთაშოლვაწერ-  
ბის კონტროლისა და მათ დადგენილებათა გაუქმებისა, რასაც,  
საჭირო შემთხვევებში, აცნობებს საბჭოთა ცენტრალურ ხელის-  
უფლებას.

## III კ ვ ॥ XVII

აღმასკომებთან არსებულ განყოფილებათა და მათ ქვე-  
მდებარებლობათა შესახებ

81. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებზე დაკისრებულ  
საქმეთა შესასრულებლად—საქალაქო, სამაზრო და სათემო  
საბჭოებთან ეწყობა განყოფილებები, რომელთაც ხელმძღვა-  
ნელობენ აღმასკომის მიერ არჩეული განსაკუთრებული გან-  
გები.

82. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება გან-  
ყოფილებები:

1) მართვა-გამგეობისა, 2) სამხედრო, 3) შრომისა და  
სოციალურ უზრუნველყოფისა, 4) სახალხო განათლებისა,  
5) ფინანსებისა, 6) მიწათმოქმედებისა, 7) სასურსათო, 8) მუ-  
შათო და გლეხთა ინსპექციისა, 9) ჯანმრთელობისა, 11) კუ-  
მუნიციპალური.

**შენიშვნა:** საეკონომიო განყოფილება, უმაღლესი საეკონო-  
მიო საბჭოს ნებართვით, არსდება იმ სამაზრო აღმასრულებელ კო-  
მიტეტთან, რომელთა რაიონებშიაც მოიპოვებიან საერთო-სახელ-  
მწიფოებრივ მთავრებელობის წარმოებანი.

83. თვითონეულ განყოფილების სათავეში დგას განყო-  
ფილების გამგე, რომელიც შეიძლება არც იყოს აღმასრულე-  
ბულ კომიტეტის წევრი. გამგეს ირჩევს აღმასრულებელი კო-  
მიტეტი და მიტკიცებს სათანადო სახალხო კომისარი. კან-  
დიდარზე შეუთანხმებლობისას—საკითხს სწუვებს სახალხო კო-  
მისართა საბჭო.

84. აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებანი, ვი-  
ნაიდან ისინი იმყოფებიან აფგილობრივ აღმასრულებელ კო-

შიტეტის ადვინისტრატიულ მორჩილებაში, ვალდებული არა—  
ან აასრულონ ცეკველა მოწერილობა და განკარგულება რო—  
გორც ადგილობრივის, ისე მათზე მაღლა მდგომ აღმასრულე—  
ბელ კომიტეტისა, და სათანადო სახალხო კომისარიატისაც.

85. სახალხო კომისარიატები და აღმასრულებელ კო—  
მიტეტის განყოფილებანი აძლევენ თავიანთ საქვემდებარო გან—  
კარგულებებს სათანადო განყოფილებებს, ამასთან, ცეკველა გან—  
კარგულება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი შნიშვნელობა—  
აქვს, ეცნობება იმავე დროს აღმასრულებელ კომიტეტსაც,  
რომელიც თვალყურს აუცვნებს მათ სისწორით და დროია—  
ნად შესრულებას.

86. სახალხო კომისარიატება და აღმასრულებელ კომი—  
ტეტის განყოფილებათ უფლება იქვთ იქნიონ უშუალო  
ურთიერთობა ცეკველა მათზე დაბლა მდგომ აღმასრულებელ  
კომიტეტის სათანადო განყოფილებებთან. იმ შემთხვევებში,  
როდესაც სახალხო კომისარიატები, ან აღმასრულებელ კომი—  
ტეტის განყოფილებები ჰმართვენ ურთიერთობას მათზე დაბლა—  
ბდგომ ორგანოებთან, შუა ინსტანციების გამოტოვებით,  
ისინი ვალდებული არიან აცნობონ ამის შესახებ ხსენებულ  
ინსტანციებსაც.

87. საზოგადო წესისამებრ, აღმასრულებელი კომიტე—  
ტები და მათი განყოფილებანი ჰმართვენ მიწერ-მოწერას უმაღ—  
ლეს აღმასრულებელ კომიტეტებსა და მათ განყოფილებებ—  
თან, კა აგრეთვე სახალხო კომისარიატებთანაც, სათანადო  
შუა ინსტანციების საშუალებით (სათემო აღმასრულებელი  
კომიტეტი—სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის საშუალე—  
ბით), მაგრამ ეს არ ართმევს მათ უფლებას, იმ შემთხვევებში,  
როდესაც ეს აუცილებელია, იქნიონ უშუალო მიწერ-მოწე—  
რა მათზე მაღლა მდგომ ორგანოებთან, იმ პირობით კი, რომ  
იმავე დროს ეს გარევოება ეცნობოს აგრეთვე შუა ინსტან—  
ციებსაც.

88. ხელმძღვანელობის გასაშეცვად მთელის შიმდინარე

შუშაობისათვის სათანადო ტერიტორიის ზაროვა-გამგეობის საქმეში და აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლების დადგენილებათა და დეკრეტების ცხოვრებაში გასატარებლად, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს.

## III გ ვ წ მ XVII.

### ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთ- შორის დამოკიდებულების შესახებ

89. ცენტრალური ორგანოები თავის საქმეებს აშარმოებენ შხოლოდ ადგილობრივ საბჭოთა და მთ განყოფილებათა საშუალებით. სახალხო კოვისარიატების ყველა მუდმივი იდგილობრივი ორგანო და სააღმინისტრაციო-სამუერნეო დაწესებულებანი და აგრეთვე ყველა დროებითი ორგანო, რაიმე სასწრაფო საქმეთათვის დაწესებული, ან შედიან სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტების სათანადო განყოფილებაში, ანდა უშუალოდ ემორჩილებიან თვით აღმასკომებს. ამ წესიდან გამონაკლისი რომლისამე ცალკე დაწესებულებისათვის შესაძლებელია შხოლოდ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის საგანგებო დადგენილებით.

90. აღმასკომებისა და მათი პრეზიდიუმებისთვის შიწერილობათა უშუალოდ გზავნის უფლება აქვთ მათზე მაღლა მდგრად აღმასკომებს, მათ პრეზიდიუმს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს.

91. ცალკე კომისარიატის რაიმე განკარგულების ცხოვრებაში გატარების შეჩერება შეიძლება მხოლოდ სამაზრო და საქალაქო აღმასკომების დადგენილებით და ისიც ამ უკანასკნელთა სასამართლოს წინაშე კოლექტიურ პასუხისმგებლობის ქვეშ და შხოლოდ ისეთ შევთხვევაში, როდესაც ხსენებული განკარგულება აშენავ არ შეეფერება სახალხო

კომისართა საბჭოს ან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილბაზ.

92. განკარგულებათ შეჩერების შესახებ და აგრეთვე თავის მოსაზრებათ მის გაუქმებისათვის, სამაზრო და საქალაქო აღმასკოვი დაუყონებლივ ატყობინებს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდუმს, სახალხო კომისართა საბჭოს და საკანალო სახალხო კომისარს.

93. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი სამართალში აძლევს დამნაშავე მხარეს, ე. ი. სახალხო კომისარს, ან სამაზრო ან ქალაქის აღმასკომს, რომელმაც უკანონოდ შეჩერება სახალხო კომისარიატის განკარგულება.

94. აღმასკომის განყოფილება, რომელიც რაიმე მოსაზრებით შეუძლებლად სთვლის სახალხო კომისარიატის განკარგულების შესრულებას, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ პრეზიდიუმს, რომელიც — ამ განკარგულების ცხოვრებაში გატარების შეუჩერებლად — თავას მოსაზრებებს ამგვარ ზომის შესახებ ატყობინებს სახალხო კომისართა საბჭოს, ან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ანდა იმ ორგანოს, რომელსაც განკარგულება მოუხდენია.

95. იგვე უფლებები ამავე საფუძვლებით ენიჭება საჯამო აღმასკომებსაც — სამაზრო განყოფილებათა აღვილაბრივ განკარგულების შესახებ.

## III XIII XVIII

### სასამართლოს შესახებ

96. საქართველოს სოციალისტური საბჭოად რესპუბლიკა, სკრობს რა, რომ რევოლუციის პრეცესში და ხელისუფლების მიერ ამგამად გატარებულ ეკონომიკურ პო-

ლიტიკის ნიდაგზე შექმნილი ურთიერთობის ხალი ფორმები გამოიხატება კანონში და რომ მას იცავს მოქალაქის უფლებათა მტკიცე დარიჯი — სასამართლო, — აარსებს ერთს მთლიან სახალხო სასამართლოს, რომლის მოქმედებაც, ერთი მუდმივი მოსამართლისა და ორის, ან ექვსი მორიგი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, ვრცელდება სამაზრო თუ საქალაქო რაიონის ტერიტორიაზე.

97. სახალხო სასამართლოს განაჩენების, გადაწყვეტილების და მოქმედებათა გამო იღძრულ საკასაციო და კერძო საჩივრების განსახილველად და იგრეთვე სახალხო სასამართლოზე უახლოესი კონტროლის გასაწევად, მთელი რესპუბლიკისათვის არსებობს მხოლოდ ერთი სახალხო მოსამართლოთა საბჭო, რომელიც იმყოფება ქალაქ ტფილისში და პერიდულად აწყობს თავის შედგენილობიდან გამსვლელ დროებით სესიებს.

98. სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქედევნებარება სახალხო სასამართლოს და არავითარ სხვა ხელისუფლებას სასამართლოს ფუნქციები. არ შეიძლება მიეთვისოს.

99. სახალხო სასამართლოს მოწყობა, სახალხო სასამართლოთა ორგანიზაცია, სახალხო მოსამართლეთა არჩევის წესი, სახალხო სამართლის წარმოება, სამართლის წარმოების ზოგადი საფუძვლები, სახალხო სასამართლოსადმი დაქვემდებარებულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარ გამოძიების წარმოება, ბრალდებისა და დაცვის ორგანიზაცია, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა, განხილვის წესი თვით სახალხო სასამართლოს მიერ, განაჩენთა და გადაწყვეტილებათა დადგენილებანი და სახალხო მოსამართლეთა საპქოს მოწყობა — განისაზღვრება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ დებულებაში.

100. საქმეთა გარჩევისას სახალხო სასამართლო ხელმძღვა-

ნელობს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ დეკრეტებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაფერი დეკრეტი არ არსებობს, ან თუ ეს დეკრეტი სრული არ არის, სასამართლო ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონმდებლობის საერთო ცივილისაზრისით და მით, რასაც მას უკარნახებს დამოუკიდებელ მოსამართლის სინიდისი და პროცესუარულ რევოლუციის ინტერესები.

101. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წესით დადგენილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებს და გადაწყვეტილებათ აქვთ უცილობელი და გარდუვალ აქტების ივტორეტი და მათი ხელახლად გადაწყვეტა ან გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძვლით და მასში იღნაშნულ წესით.

## III 3 II XIX

### ბიუჯეტის შესახებ

102. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო გასავალი და შემოსავალი გაერთიანებულია საერთო სახელმწიფო მასშტაბით.

103. არავითარი გადასახადი, არც რამე ხარჯი, არ შეიძლება შეწერილ ან გამორთმეულ იქნას შემდეგი წესების შეუსრულებლად.

104. ხარჯთაღრიცხვა სდგება ყოველი ცალკე კომისარიატის მიერ და დასკვნისათვის ერთანავება ფინანსთა და მუშაობისა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრების. ამ უკანასკნელთა დასკვნების შილების შემდგომ, ხარჯთაღრიცხვები დასკნებით წარედგინება სახალხო კომისართა საბჭოს. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოწონებული ყველა ხარჯთაღრიცხვა ერთიანდება ფინანსთა კომისრის მიერ საერთო სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხაში, რომელიც ფინანსთა სახალხო კომისრის განმარტებითი ბარათით, სახალხო კომი-

სართა საბჭოს საშუალებით, წარედგინება დასტურებულებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ივრეთვე ეუშება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარსაც.

105. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა, ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აშენებს გადასახადთა შეწერის ფარგლებს და არ-კვეცს, თუ რაგვარი გადასახადი და მოსაკრეფი ხარჯი შედის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში და რაგვარი აღვილობრივ საბჭოთა განკარგულებაში.

106. აღვილობრივი საბჭოები აშენებენ გადასახადებს და ხარჯებს მხოლოდ აღვილობრივ მეურნეობის საჭიროებათვის, მივრამ ამასთან ერთად ხარჯთაღრიცხვის დასაბუთებული გეგმებიც აუცილებლად წინასწარ წარდგენილ უნდა იქნას, სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ამ უკანასკნელის მიერ დასამტკიცებლად.

107. ეს საბჭოებივე და ივრეთვე მაზრებისაგან გამოყოფილი საქალაქო საბჭოები ადგენენ აღვილობრივ საჭიროებათათვის ნახევარი წლის და მთელი წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს და წარადგენენ მათ, სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად.

108. საერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი კაყაფილდებიან სახელმწიფო ხაზინიდან.

109. არცერთი ხარჯის გაწევა სახელმწიფო ხაზინის საშუალებათაგან არ შეიძლება მაკზე კრედიტის წარუდგენლად სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალთა ნუსხაში, ან თუ ცენტრალურ ხელისუფლების განსაკუთრებელი დადგენილება არ იქნა გამოცემული ამის შესახებ.

110. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სათანადო სახალხო კომისარიატე-

ბის მიერ აღვილობრივ საბჭოების განკარგულებაში იცემა სა-  
 კირო კრედიტები სახელმწიფო ხაზინიდან.

111. შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვათა შედგენისას  
 და ცულ უნდა იქნას კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ხა-  
 რჯთაღრიცხვითი დანიშნულებანი ჯგუფდებიან განყოფილე-  
 ბებად, თავებად, მუხლებად, სტატიებად და ლიტერებად.

112. ხარჯთაღრიცხვათა და განრიგებათა მიხედვით გა-  
 ლებული კრედიტები უნდა ხვარდებოდეს მხოლოდ თავის  
 დანიშნულების საგნება.

113. არავითარ დაწესებულებას, ან თანამდებობის პირი,  
 არა აქვს უფლება შესცვალოს კრედიტების დანიშნულება, ან  
 მისცეს გათ მიმართულება სხვა რაიმე ახალი ხარჯებისა, რო-  
 მელიც არ ჰქონიათ სახეში სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალის  
 ნუსხის დამტკიცებისას სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრი-  
 ლობას და მის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

114. შესაძლებელია ერთისა და იმავე პარაგრაფის ფარ-  
 გალში, სათანადო კომისრის მიერ ერთგვარ მოთხოვნილებათა  
 დასაკმაყოფილებლად, გაღებულ კრედიტების გადატან-გაღ-  
 მოტანა, მისი პირიდი პასუხისმგებლობის ქვეშ, იმ თუკილებე-  
 ლის პირობით, რომ ანგარიში ამის შესახებ კომისარმა წარუ-  
 დგინოს მუშაო და გლეხთა ინსპექციის კომისარიატს. ამ  
 უკანასკნელის მიერ დაწესებულ ფორმისამებრ.

115. კრედიტების გადატან-გაღმოტანა ერთი მუხლიდან  
 მეორეში, ე. ი. მოხვარება კრედიტებისა, რომლებიც გაღებუ-  
 ლი იყო განსაკუთრებულ საჭიროებისათვის. სხვა საჭირო-  
 ბებზე, -- შეიძლება სახალხო კომისარიატების. მიერ მხოლოდ  
 სახალხო კომისართა საბჭოს თანხმობით, რაიც ამასთანავე მო-  
 წონებულ უნდა იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალურ  
 აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

116. ხარჯთაღრიცხვათა მოქმედების დროს აღმოცენებულ,  
 სრულიად გადაუდებელ ზედმეტ ხარჯების საჭარბოებლად. რომ-  
 ლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხარჯთაღრიცხვათა  
 შედგენისას, საერთო სახელმწიფო ნუსხაში შედის განსაკუთრე-

ბუღლი კრედიტი, ზედწარწერით: „მოულოდნელ ხარჯთა საწარმოებლად“, რომელიც ინგარიშით არ უნდა აღემატებოდეს უფლის სახარჯთაღრიცხვით დანიშნულების 10%-ს.

117. მოულოდნელ, საერთო ხარჯთაღრიცხვით გაუფლისწინებელ ხარჯებისათვის უნდა იქმნას შედგენილი, განხილული და დამტკიცებული დამატებითი ხარჯთაღრიცხვია, საერთო სახელმწიფო ნუსხის შესაღენად მიღებულ წესებისამებრ.

118. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთაღრიცხვის პერიოდის დასაწყისშივე ცალკე ხარჯთაღრიცხვები და ნუსხები დამტკიცებული არ იქნება, დაწესებულებებს მიეცემათ სახელმწიფო ხაზინიდან დროებითი საკას სახარჯო თანხა—წინა ნახევრი წლის ხარჯთაღრიცხვით მიხედვით, არა უმეტეს ერთის ოცნის ვაღისა.

### III კ ვ ე ბ

#### აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების შესახებ

119. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება—სასწმუნოების, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად—ეკუთვნის რესპუბლიკის ორივე სქესის შემდეგ მოქალაქეთ, რომელთაც არჩევნების დღისთვის უკვე შესრულებით 18 წელი:

ა) აველას, ჩამომავლობით ქართველს, და მუდმივ მის ვიწა-წყალზე მცხოვრებს ჩამომავლობით არაქართველს, რომლის ცხოვრების სახსარსაც შეაღენს წარმოებითი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და აგრეთვე უფლის იმით, ვანც ეშვეა შინავეურნეობას, რომელიც პირველთაოთვის უზრუნველყოფს წარმოებით შრომის შესაძლებლობას, როგორიც არიან, მაგალითად, ყოველი სახისა და კატეგორიის მუ-

შები და მოსამსახურე პირები, ვაჭრობა-მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობაში დაქირავებულნი გლეხები და მიწის მე-შები, რომელებიც ან სარგებლობენ დაქირავებულ შრომით მოვე-ბის მიზნით; ესვე უფლება ეძლევა ყოველ უცხოელს, რო-მელიც დამკიდრებულია საქართველოს მიწა-წყალზე, იმ პი-რობით, რომ ეს უფლებები მიენიჭოს მას სამაზრო და საქა-ლაქო აღმასკომების დადგვნილებით, რომელიც დამტკიციურებულ უნდა იქმნას სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრუ-ლებელ კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ.

ბ) საქართველოს საპროთა არმიისა და ფლოტის ჯარის კაცთ.

გ) ზემორე — ამა სტატიის პ-სა ბ-პუნქტებში — ჩამო-თვლილ მოქალაქეთ, რომელთაც ცოტად თუ ბევრად დაუ-კარგავთ შრომის უნარი.

120. არც აქტიური და არც პასიური უფლება არა აქვთ შემდეგ მოქალაქეთ, თუნდა კიდევ შედიოდენ ისინი ერთ-ერთს ზემორე ჩამოთვლილ კატეგორიაში:

ა) მოქალაქეთ, რომელნიც მიმართვენ დაქირავებულ შრომის მოგების მიზნით;

ბ) იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობენ არა საკუთარი შრო-მის შემოსავალით, როგორიცაა: თავნის სარგებელი, წარმო-ბის, თუ სხვაგვარი ქონების შემოსავალი და სხვ.

გ) კერძო ვაჭრებს, შუამავალთ და კომერციულ შეუ-კაცებს.

დ) ბეტ-მონაზონებსა და რელიგიურ და ეკლესიურ კულტის სასულიერო პირებს.

ე) ყოფილ პოლიციის და მენშევიკურ მთავრობის ში-ნაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის მოსამსახურეებსა და აგენტებს;

ვ) იმ პირთ, რომელნიც, მიღებული წესისამებრ, ცნო-ბილი იქნებიან სულით ავადმყოფებად და გონება-დაკარგულად და აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფ;

ზ) იმ პირთ, რომელებიც მსჯავრდადებულნი არიან კანონიერ ძალაში შესულ სისხლის სამართლის განაჩენით, ანგარებისა და სხვა სააუგო და დამამცირებელ დანაშაულობითათვის.

## III პ 3 || XXI

### არჩევნების წარმოების შესახებ

121. არჩევნები წარმოებს ადგილობრივ საბჭოების შიერ დანიშნულ დღეებში, საარჩევნო კომისიისა და ადგილობრივ საბჭოს წარმომადგენლების თანდასწრებით.

122. თუ არჩევნებს, კანონიერ მიზეზით, ვერ დაესწრო საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი, მის მაგიერობას ეწევა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, იმ უკანასკნელის მაგიერობას კი—საარჩევნო კრების თავმჯდომარე.

123. არჩევნების მსვლელობის და შედეგების შესახებ სდგება ოქმი, რომელზედაც ხელის აშერენ საარჩევნო კომისიის წევრები და საბჭოს წარმომადგენელი.

124. არჩევნების წარმოების წესრიგი და აგრეთვე მათში პროცესიონალურ და მუშათა სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა განისაზღვრება ადგილობრივ საბჭოების მიერ—სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ინსტრუქციის თანახმად.

## III პ 3 || XXII

### არჩევნების შემოწმების, გაუქმების და დეპუტატების უკანვე გაწვევის შესახებ

125. არჩევნების წარმოების შესახები მოელი მასალა შედის სათანადო საბჭოში.

126. საბჭო არჩევნების შესამოწმებლად პნიშნავს სამან-დატო კომისიას.

127. შემოწმების შედეგების შესახებ სამანდატო კომისია მოახსენებს საბჭოს.

128. საბჭო სწყვეტს უფროს კანდიდატთა დამტკიცების საკითხს.

129. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კანდიდატი არ იქნა დამტკიცებული, საბჭო პნიშნავს ახალ არჩევნებს.

130. უკანონო არჩევნების გაუქმების საკითხი სწყდება საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს — რიგის მიხედვით — ორგანოს მიერ.

131. საბჭოთა არჩევნების კასაციის საქვეში უკანასკნელი ინსტანციად ითვლება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

132. ამომრჩევლებს, რომელთაც გაგზავნეს საბჭოში თავიანთი დეპუტატი, უფლება აქცი ყოველ დროს უკანვე გარეულონ. იგი და მოახდინონ ახალი არჩევნები, საერთო დე-



### III 3 II XXXII

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ღიაბისა და დროშის შესახებ

133. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დროშა შესდგება წითელი (ალის) ფერის ქსოვილისგან; მის მარცხნა კუთხეს, ზევით, ოთხკუთხედში, ომშლის მხარეებიც უდრის ალამის მთელი სიგრძის ერთ მეოთხედს, მოთავსებულია წარწერა ქართულად: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ — (ს. ს. ს. რ.).

134. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დერბი წარ-  
 მოადგენს რგვალ წითელ არეს; ზედა ნაწილში გამოსახუ-  
 ლია ბრწყინვალე ხუთსხივოსანი ვარსკვლავი, რომლის სხივე-  
 ბიც მიმოფენილია მთელს არეზე; ქვედა ნაწილში დახატუ-  
 ლია თოვლიანი მთაგრეხილი ცისფერი და სოსანი ფერისა;  
 მარჯვნით—ოქროს თავთავი, მარცხნით—ოქროს ვაზები  
 ყურძნის მტევნებით. ვაზებისა და თავთავების ბოლოები ერთ-  
 მანეთშია გადატლის დისკოს ქვედა ნაწილში, თოვლიან  
 მთაგრეხილის ძირში. დისკოს შუაგულის უმეტესი ნაწილი  
 უკირავს ოქროს ნამკლისა და უროს გამოსახულებას, რომ-  
 ლებიც ებჯინება ზეცით მოელვარე ვარსკვლავს, ქვევით—  
 თოვლიან მთაგრეხილს, ხოლო გვერდებზე—თავთავებსა და ვა-  
 ზებს. დისკოს ვარშემო მოთავსებულია წარწერა სამს ენაზე:  
 „ქართულად, რუსულად და ფრანგულად: „პროლეტარებო ყვე-  
 ლა ქვეყნისა, შეერთდით“. ლერბს ვერშემო შემოვლებული აქვს  
 არშია ქართული სტილის ორნამენტებისაგან.



